პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 126 (7687)
3 ივლისი,
სამშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ტურნირის ექო

ემზარ გელაშვილი

ველოსპორტი, სპრინტი

დაიბადა 1962 წლის 25 მარტს თბილისში.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, „დინამო" (თბილისი).
სიმაღლე — 183 სმ, წონა — 90 კგ.
სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1976 წელს. 1978 წლიდან სსრ კავშირის ნაკრებშია.
წლეულს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომარ ფხაკაძე.
საუკეთესო შედეგები: 1981 წელს ზამთრის საკავშირო პირველობაში დაიკავა II ადგილი. 1982 წელს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი სპრინტში. მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, ევროპის თასის გათამაშებაში კი II ადგილზე გავიდა. 1983 წელს ზამთრის საკავშირო პირველობაში ისევ მეორე იყო, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე — მეოთხე. არის მსოფლიო უნივერსიადის მეორე პრიზიორი. 1984 წელს II ადგილი დაიკავა ზამთრის საკავშირო პირველობაში. 200 მეტრზე ნაჩვენები აქვს საუკეთესო შედეგი — 10,67 (1983 წ.).

მუდამ მეორე



ყოველი წლის პირველი ნახევარი ევროპული ველოსპორტის კალენდარში ეთმობა ტრადიციულ შეჯიბრებებს ქალაქების დიდ პრიზზე. ამ მრავალსერიიანი ტურნირის უმთავრესი მიზანია მსოფლიო ჩემპიონატებისთვის სამზადისი, ძალების შემოწმება და გუნდების შერჩევა.

წლევანდელი ციკლის პირველი ასეთი ასპარეზობა თბილისში ჩატარდა გაზაფხულზე. ეს იყო „საქართველოს ტელევზიის დიდი პრიზის" გათამაშება, საინტერესო და მრავალმხრივ საყურადღებო ტურნირი, რომელიც მონაწილეთა სიძლიერით თვით მსოფლიო ჩემპიონატსაც არ ჩამოუვარდებოდა. თბილისში მთავარი ჯილდო დაისაკუთრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ლუც ჰესლიჰმა. მეორე ადგილიც მის თანამემამულეს მიჰაელ ჰიუბნერს ხვდა.

მერე ევროპის უძლიერესმა სპრინტერებმა რამდენიმე ქვეყანა მოიარეს. ჯერ გათამაშდა ბრნოს (ჰესლიჰი აქაც პირველი იყო), მერე პარიზის (გდრ-ის ველოსიპედისტები ამ ქალაქში არ გამოსულან) და ბოლოს — კოპენჰაგენის დიდი პრიზები. დანიის დედაქალაქი სპრინტერული მარათონის უკანასკნელი პუნქტი იყო, ამიტომაც კოპენჰაგენში ასპარეზობის სურვილი გამოთქვა ევროპის ყველა უძლიერესმა ველოსიპედისტმა. საბჭოთა სპრინტის ღირსებას კოპენჰაგენის ტრეკზე მხოლოდ ემზარ გელაშვილი იცავდა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სერგეი კოპილოვი ამჯერად კილომეტრიან დისტანციაზე ცდიდა ბედს.

რატომ აარიდა ჩვენმა ლიდერმა თავი მთავარ ტურნირს? ჯერ კიდევ საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის გათამაშებამ ცხადყო, რომ კოპილოვი მზად არ იყო სეზონის უმთავრესი სტარტებისთვის. მაგრამ მაშინ ეს საგაზაფხულო სიურპრიზად ჩათვალეს. სპეციალისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ლიდერი ნელ-ნელა აღიდგენდა ფორმას და ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე ზემოთ დასახელებულ შეჯიბრებაში გენერალურ ბრძოლას გაუმართავდა გერმანელ ველოსიპედისტებს. სპორტს არ უყვარს ორხელისუფლებიანობა.

ცოტა გაუგებარია, რატომ მოხდა ასე, მაგრამ კოპილოვი და ჰესლიჰი ვერც ერთ ასე თუ ისე ღირსეულ ტურნირში ვერ შეხვდნენ ერთმანეთს. შეიძლება საბჭოთა სპორტსმენი რევანშისთვის არ იყო მზად, შეიძლება სხვა რამ მიზეზიც ჰქონდა. თუ ასეა, მაშინ კოპილოვის ჩანაფიქრი გასაგები ხდება — არ უნდოდა კონკურენტისთვის ფსიქოლოგიური უპირატესობის კიდევ ერთი შანსი მიეცა.

როგორც ვთქვით, დანიის დედაქალაქში კოპილოვმა მხოლოდ კილომეტრზე იასპარეზა, სპრინტერთა ბრძოლის მთელი სიმძიმე და დრამატიზმი კი ემზარ გელაშვილმა გადაიტანა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ფინალური რბოლის მაგალითი. გელაშვილს ბრძოლა მოუხდა ჰესლიჰჰიუბნერის შეთანხმებული წყვილის წინააღმდეგ. აქ ფაქტიურად წარმატების არავითარი შანსი არ იყო.

რბოლა ნაცნობი სიუჟეტით წარიმართა. თავდაპირველად დაწინაურდა ჰიუბნერი, რომელმაც გელაშვილი გაიყოლია. ჰესლიჰი ჩრდილში იდგა და ყურადღებით დარაჯობდა დაწინაურებულებს. მერე, როცა მისი ჯერიც მოვიდა, ფინიშის სიახლოვეს ხელსაყრელი მომენტი შეარჩია და მშვიდად აუარა გვერდი მეტოქეებს. ჰიუბნერი მეორე იყო, გელაშვილი — მესამე.

ემზარს არ ჰქონდა უფლება ამ შედეგით უკმაყოფილო ყოფილიყო.

— ჰესლიჰი დღეისათვის მსოფლიოს უძლიერესი სპრინტერია და მისი გამარჯვება, ცხადია, ლოგიკურად მეჩვენება.

● **რაშია ამ სპრინტერის ძალა?**

— გერმანელი სპორტსმენის მთავარი კოზირი სისწრაფეა. მას შეუძლია დისტანციური ფორა მისცეს ნებისმიერ მეტოქეს და შემდეგ, საჭირო შემთხვევაში მაქსიმალური სისწრაფე განავითაროს. ამიტომ არც იწუხებს თავს ტაქტიკური ჩანაფიქრებით.

● **ბოლო ხანს საკავშირო ასპარეზზე გამოიკვეთა და დაკანონდა კოპილოვ-გელაშვილის ტანდემის სრული უპირატესობა. სხვა კონკურენტებზე რას იტყვით?**

— სრულ უპირატესობაზე ლაპარაკი ცოტა ნაჩქარევად მეჩვენება. მე შემიძლია დავასახელო ხუთეული, რომლის ნებისმიერი წევრიც ნებისმიერი რანგის შეჯიბრებას მოიგებს. იმ ხუთეულში უსათუოდ შევლენ ომსკელი ალექსანდრე დოცენკო, მოსკოველი ნიკოლოზ კოვში და ტაშკენტელი ალექსანდრე პანფილოვი, რომელიც, ადრე უფრო ცნობილი იყო, როგორც კილომეტრიანი დისტანციის სპეციალისტი. ეს ველოსიპედისტები სავსებით სამართლიანად იმსახურებენ გაძლიერებულ ყურადღებას.

● **რომელ შეჯიბრებაში შემოწმდება ამ ხუთეულის ღირსებები?**

— სულ მალე მოსკოვში ჩატარდება სპრინტერთა საკავშირო ჩემპიონატი. იქ ალბათ ყველანი ვიქნებით. საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება ნაკრები გუნდი სეზონის უმთავრესი სტარტებისთვის. „მეგობრობის" საერთაშორისო ტურნირი ერთხელ კიდევ მოგვცემს რევანშის შანსს.

ნოდარ ბუგუშვილი.

შვიდი მოგება, სამი ყაიმი

ლონდონი. ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატმა გარი კასპაროვმა, რომელმაც ინგლისის დედაქალაქში წარმატებით ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და დანარჩენი მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა მატჩში, აქვე ათ დაფაზე ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი. სვლები ისტორიაში პირველად გადაიცა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის დახმარებით.

კასპაროვის მეტოქე იყო ხუთი საუკეთესო ახალგაზრდა ინგლისელი მოჭადრაკე და ამდენივე ამერიკელი, რომლებიც ამ დროს ნიუიორკში იყვნენ. საბჭოთა დიდოსტატმა შვიდი პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა. სეანსი ოთხსაათნახევარს გაგრძელდა.

ჩემპიონობა რეკორდთან ერთად

ელვა-ინფორმაცია

გუშინ მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ტყვიის სროლაში. ვარჯიშში მმ-12 „გაქცეულ ტახზე" სროლაში საბჭოთა კავშირის რეკორდით ქვეყნის ჩემპიონი გახდა „დინამოს" პირველი გუნდი, რომლის შემადგენლობაში ჩვენი თანამემამულე, ქუთაისელი ილია ჩაგანავაც (მწვრთნელი როლანდ გვირგვლიანი) იყო.

ახლახან მოსკოვში, ლუჟნიკის სპორტის სასახლეში, დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი და საკავშირო თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში. საქართველოდან ამ შეჯიბრებებში მხოლოდ ეკა ზეთურიძე ასპარეზობდა.

ეკა ზეთურიძის ვერცხლის მედალი

15 წლის ეკა ზეთურიძე რუსუდან სიხარულიძის შემდეგ პირველი ტანმოვარჯიშეა, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა თავისუფალი ვარჯიშის შესრულებისთვის. ამ ბოლო ხანს ეკა ზეთურიძემ (მწვრთნელი რაისა პენკოვა) საგრძნობლად აიმაღლა სპორტული ოსტატობის დონე. ამჟამად იგი რესპუბლიკის ძირითადი და მოსწავლეთა ნაკრები გუნდების ლიდერია. ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი ნორჩი ტანმოვარჯიშისათვის თავისებური სავიზიტო ბარათია ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შორის ადგილის დამკვიდრებისათვის.

ეკას ხტომებშიც შეეძლო საპრიზო ადგილზე გასულიყო. მან და ყაზახეთის წარმომადგენელმა ლილია ხარისოვამ საერთო ჯამში ქულათა თანაბარი რაოდენობა (19,4-19,4) მოაგროვეს, მაგრამ ფინალურ შეჯიბრებაში ოდნავი უპირატესობის გამო მესამე ადგილი ხარისოვას მიეკუთვნა.

ჩემპიონატის პარალელურად ჩატარდა საკავშირო თასის გათამაშება მრავალჭიდში. ამ შეჯიბრებაში ქართველმა სპორტსმენმა XII-XIII ადგილები გაიყო. აღსანიშნავია, რომ მრავალჭიდში ჩვენი ტანმოვარჯიშეები ადრე უფრო წარუმატებლად გამოდიოდნენ საკავშირო სარბიელზე.

ჩოგბურთი

პირველი კვირა მიიწურა

უიმბლდონის ტურნირში დამთავრდა ქალთა ერთეულების მესამე წრის შეხვედრები. ორთაბრძოლების უმეტესობა მეტად დაძაბული და საინტერესო იყო. პირველ ყოვლისა, ეს შეიძლება ითქვას მოსკოველი სვეტლანა ჩერნევას და ავსტრალიის მრავალგზის ჩემპიონის უენდი ტურნბულის შეხვედრაზე. ამ უკანასკნელს დიდი ჯაფა დაადგა შეხვედრის სამ პარტიაში მოსაგებად — 6:3, 4:6, 6:4.

ლვოველი ლარისა სავჩენკო და ჩერნევა გავიდნენ წყვილთა შეჯიბრების მესამე წრეში. მოსკოველმა ნატალია რევამ და დონეცკელმა ელენა ელისეენკომ წააგეს ამერიკელებთან პაულე სმითთან და უენდი უაიტთან — 2:6, 5:7.

16 უძლიერესს შორის არიან ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები — ჰანა მენდლიკოვა და ჰელენა სუკოვა (წარსულში ცნობილი ჩოგბურთელის ვერა სუკოვას ქალიშვილი), ბულგარელი მანუელა მალეევა და უნგრელი ანდრეა ტემეშვარი.

მერვედფინალში გავიდა ქალთა ტურნირის ყველაზე უმცროსი მონაწილე, 15 წლის შტეფი გრაფი (გფრ), რომელმაც მოუგო თავის თანამემამულეს, გამოცდილ სპორტსმენს ბეტინა ბუნგეს (7:5, 6:3) და 20 წლის შვედ ჩოგბურთელს კარინა კარლსონს. ამ უკანასკნელმა დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა უიმბლდონის ექსჩემპიონი, 38 წლის ინგლისელი სპორტსმენი ვირჯინია უეიდი — 6:2, 4:6, 11:9.

ვაჟებიდან ასპარეზობას გამოეთიშა ბევრი ცნობილი ოსტატი, მაგრამ მთავარი ფავორიტები — ჯონ მაკინროუ (აშშ), ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), ჯიმი კონორსი, ჯიმი არიასი (ორივე — აშშ) და ანდრეს გომესი (ეკვადორი) მერვედფინალში გააგრძელებენ ბრძოლას.

ვაჟთა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, 16 წლის ბორის ბეკერი (გფრ) კარგა ხანს ღირსეულ მეტოქეობას უწევდა ძლიერ ამერიკელ ჩოგბურთელს ბილ სკანლონს, მაგრამ მეოთხე პარტიაში მძიმედ დაშავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შვედი ჩოგბურთელი გამოეთიშა შეჯიბრებას. სენსაციურად მიიჩნიეს 30 წლის ავსტრალიელი სპორტსმენის მარკ ედმონდსონის გამარჯვება ჰენრიკ სანდსტრიომთან „მარათონულ" მატჩში — 6:7, 7:6, 6:4, 6:7, 8:6.

ინფორმაცია

დიალოგი

ცხოვრება უპირველესი მსაჯულია

ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინსვლას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთაგან, ალბათ, უმნიშვნელოვანესია კადრები — პროფესიული ოსტატობა, პედაგოგიური ნიჭი, ძალისხმევა და ენთუზიაზმი იმ ადამიანებისა, ვინც ფიზკულტურასა და სპორტშია დასაქმებული. ფიზკულტურის მასწავლებელი, მწვრთნელი, ტურიზმისა და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორი, ინსტრუქტორ-მეთოდისტი... აი, მთავარი მამოძრავებელი ძალა ჩვენი ფიზკულტურული ცხოვრებისა. ჩვენთან ამ სპეციალისტებს ძირითადად საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ამზადებს. ცხადია, ამ ინსტიტუტს, კადრებზე ზრუნვის გარდა, სხვა ამოცანებიც აკისრია.

ამ ინტერვიუში სწორედ ინსტიტუტის პროფილზე, აქ მიმდინარე მრავალმხრივი მუშაობის ცალკეულ მომენტებზე და სამომავლო გეგმებზე მოგითხრობთ. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება ინსტიტუტის რექტორს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ომარ გოგიაშვილს.

ომარ გოგიაშვილი. დაიბადა 1941 წელს თბილისში. 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, იყო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. 1970 წლიდან მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ, 1973 წელს გადავიდა უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ სამუშაოზე, 1977 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1978 წლიდან იყო უნივერსიტეტის დოცენტი. სხვადასხვა დროს იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების მეცნიერ-კონსულტანტი. 1984 წლის თებერვლიდან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორია.

● **„სპორტი საშუალებაა, ადამიანი — მიზანი“. ასეთია უმთავრესი სოციალური ფორმულა სპორტისა. ადამიანის ჰარმონიული აღზრდის საქმეში, ცხადია, დადებითი შედეგების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება შესაძლებელი, როცა ეს საშუალება, ანუ იარაღი საქმის მცოდნე, კვალიფიციური სპეციალისტების ხელში აღმოჩნდება. სწორედ ასეთ სპეციალისტებს ელის ჩვენი საზოგადოებრიობა ფიზკულტურის ინსტიტუტიდან, უმაღლესი სასწავლებლიდან, რომლის როლი სულ უფრო იზრდება. იზრდება იმიტომ, რომ თავად ფიზკულტურისა და სპორტის ასპარეზი გაფართოვდა და ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს დაუკავშირდა. ანგარიშგასაწევია უშუალოდ სპორტულ სამყაროში მიმდინარე პროცესებიც, მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად მეცნიერების სხვადასხვა დარგის იმ უახლეს მონაპოვართა გამოყენების აუცილებლობა, სპეციალისტთა ფართო ერუდიციასა და ინტელექტს რომ მოითხოვს...**

— ჩვენი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი თვით ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის დანიშნულებითა და თავისებურებებითაა განსაზღვრული. ინსტიტუტი მოწოდებულია მოამზადოს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის, მასობრივი, გამაჯანსაღებელი ფიზკულტურისა და ტურიზმის, საწარმოო ფიზკულტურის, სპორტის ცალკეული სახეობების სპეციალისტები, ამასთან ერთად, იზრუნოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლაზე, პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს ნაკრებ გუნდებს, მათ მწვრთნელებს, მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებასთან.

ამოცანები მეტად რთული და სერიოზულია. მათ გვკარნახობს სადირექტივო ორგანოების საპროგრამო დადგენილებები, რესპუბლიკის პარტიულ სამეურნეო აქტივის 1984 წლის იანვრის კრების გადაწყვეტილებები. აქტივის კრებაზე კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოიკვეთა ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოზიცია ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანისადმი. პარტია მოითხოვს სპორტის განვითარების ახალი რეზერვების გამოვლენას, პროგრესისთვის აუცილებელი ოპტიმალური გზების ძიებას, სპორტში მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის დაახლოებას და ყველა ამ საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას სწორედ კადრებს ანიჭებს.

აქტივის კრების შემდეგ, ჩვენ სერიოზული და საფუძვლიანი საუბარი გავმართეთ ინსტიტუტის მუშაობის ხარისხის ამაღლების აუცილებლობაზე. კოლექტივის სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალის, სტუდენტთა კონტიგენტის საერთო მომზადების გათვალისწინებით შევიმუშავეთ კონკრეტული გეგმები, დავსახეთ პერსპექტივები. დიდი ხანი არ არის, რაც ამ კოლექტივში ვმუშაობ, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ არის ჯანსაღი ბირთვი, რომელსაც სერიოზული საქმეების გაკეთება შეუძლია.

● **სპორტის სპეციალისტი, თანამედროვე გაგებით, მრავალმხრივი ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეიარაღებული პიროვნება გახლავთ. ასეთი სპეციალისტები კი, რაც მართალია, მართალია, ცოტა გვყავს....**

— ინსტიტუტის მთელი კოლექტივი კარგად გრძნობს, რომ ვალშია რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის, საზოგადოებრიობის წინაშე. გამოირკვა, რომ ინსტიტუტში ჯერჯერობით ვერ შეიქმნა თანამედროვე სპეციალისტის აღზრდა-მომზადების საფუძვლიანი, ეფექტური სისტემა, მნიშვნელოვანი ნარვეზები გვაქვს სასწავლო პროცესის ორგანიზაციაშიც. ამჟამად გულდაგულ ვეძებთ ნაკლს, ვცდილობთ შევქმნათ ახალი ფორმები, ვითვალისწინებთ კოლეგების მოწინავე გამოცდილებას. ჩვენი ინსტიტუტი სპეციფიკური უმაღლესი სასწავლებელია — სწავლების ფორმითაც და სტუდენტთა კონტიგენტითაც. ყოველდღიურ თეორიულ მეცადინეობას ენაცვლება პრაქტიკული ვარჯიშები, სტუდენტი-სპორტსმენები ხშირად იმყოფებიან საწვრთნელ შეკრებებზე, შეჯიბრებებზე, იძულებულნი ვართ „გზადაგზა“ კორექტივები შევიტანოთ მეცადინეობათა განრიგში, რათა არ დავაბრკოლოთ სტუდენტის სპორტული ოსტატობის ზრდა. ეს, რა თქმა უნდა, თვითმიზანი არ არის: ჩვენ ვზრდით სპეციალისტებს, რომელთაც მომავალში თავად უნდა აღზარდონ ჩვენი სპორტის რეზერვი.

ზემოთ სასწავლო პროცესი ვახსენე. ეს არის სპეციალისტთა მომზადების საფუძველი და, ამდენად, ჩვენი ძირითადი საზრუნავი. სასწავლო პროცესი, მოგეხსენებათ, მისაღები გამოცდებითა და პირველი კურსის დაკომპლექტებით იწყება. სწორედ აქ არის ჩვენი ყველაზე სუსტი რგოლი. კონკრეტულად, მისაღები კონტიგენტის შერჩევასა და დაგეგმვას ვგულისხმობ. შერჩევის წესში ჩვენ კიდევ შეგვიძლია კორექტივების შეტანა, მაგრამ აი, მიღების არასწორმა დაგეგმვამ ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. თუ 1980-83 წლებში დღის განყოფილებაზე 225-250 აბიტურიენტს ვიღებდით, წლეულს ეს რიცხვი 200-მდე შემცირდა, გაისად კი გეგმით უნდა იყოს 175. გარდა ამისა, სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, საერთო წესის თანახმად, საბჭოთა არმიის რიგებშია გაწვეული, მალე ამ მიზეზით კიდევ შემცირდება კონტიგენტი. ყველაფერმა ამან რთული პრობლემის წინაშე დაგვაყენა. საქმე ეხება კათედრების შენარჩუნებას. ზემდგომი ორგანოების დახმარებით ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ინსტიტუტში მისაღები კონტიგენტი მომავალი ხუთწლედისთვის მაინც გაუტოლდეს ადრინდელ მაჩვენებლებს და სტაბილური გახდეს.

საერთოდ, რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა რაოდენობა დიდად როდი ჩამოუვარდება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყველა როდი მუშაობს სპეციალობით. უფრო იმიტომ, რომ ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს ადგილებზე არ უქმნიან მუშაობის ნორმალურ პირობებს, არც ნდობას უცხადებენ. სამწუხაროდ, ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ფიზკულტურული კადრებისადმი ბევრგან შეიმჩნევა. კურსდამთავრებულთა განაწილების საქმე შედარებით უმტკივნეულოდ გვარდება განათლების სამინისტროს სისტემასთან ერთობლივი მეცადინეობით, მაგრამ სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში ჯერ კიდევ ვაწყდებით წინააღმდეგობებს. განზრახული გვაქვს სტუდენტები გავანაწილოთ არა მეოთხე, არამედ მესამე კურსიდან, ინსტიტუტის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე. სტუდენტები, შეძლებისდაგვარად, პრაქტიკას გაივლიან იმ ორგანიზაციებში, სადაც შემდგომ მოუწევთ მუშაობა. ამით, ვფიქრობთ, შედარებით უმტკივნეულოდ გადაწყდება „აკლიმატიზაციის“ პროცესი.

● **ალბათ, ცალკე საუბრის თემაა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საქმიანობა. ცხადია, ჯერჯერობით ეს სისტემა გამართულად არ მუშაობს. ამის თაობაზე საუბარი იყო რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე. რა კეთდება იმისათვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს?**

—ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე მოსამზადებელი კურსების ნაცვლად ჩამოყალიბდება კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი ფაკულტეტი. ამ მიზნით გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარებულია. რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით შეიქმნა საჭირო დოკუმენტაცია, ჩვენი ვარაუდით, ფაკულტეტი მუშაობას შეუდგება 1985 წლის იანვრიდან. გვაფერხებს მხოლოდ ერთი რამ. ჩვენი საერთო საცხოვრებლის სარემონტო სამუშაოები თუ არ დაჩქარდა, გაგვიძნელდება ფაკულტეტისთვის ადგილის გამოყოფა.

გვაფიქრებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. არასახარბიელო მდგომარეობაშია სასწავლო კორპუსი, სპორტული დარბაზები და მოედნები, შესაკეთებელია გათბობის სისტემა. დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი ახალ კორპუსში. დიახ, ეს კორპუსი ჯერ ექსპლუატაციაში არც შესულა და უკვე რემონტს საჭიროებს. წელსვე დავიწყებთ ღია მოედნების აღდგენა-რეკონსტრუქციას, მუშაობას განაახლებს რეაბილიტაციის ცენტრი, კეთილმოწყობილი ოთახები დაეთმობა საექიმო კაბინეტს. ბაკურიანის ბაზაზეც მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. ადრე იქ გვქონდა სასწავლო მუშაობისთვის ყოვლად შეუფერებელი შენობა. ამ ტერიტორიაზე დავიწყეთ ახალი თანამედროვე ტიპის ბაზის მშენებლობა, მაგრამ კაპიტალდაბანდების ასეთ პირობებში შენობის დამთავრებას ალბათ რვა-ათი წელიწადი დასჭირდება. არადა, ეს ბაზა აუცილებელია ჩვენთვის, ბაკურიანში სასწავლო პროგრამის მიხედვით თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ეწყობა პირველი და მეორე კურსის სტუდენტებისთვის. წლეულს მაგალითად, პირობების უქონლობის გამო, სტუდენტი გოგონები ბაკურიანში ვერ გავაგზავნეთ.

● **ფიზკულტურის ინსტიტუტი, ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან ერთად, ის დაწესებულებაა, რომელმაც სამეცნიერო-მეთოდური რეკომენდაციებით, სპორტული მეცნიერების უახლესი მიღწევების ცოდნით უნდა აღჭურვოს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები, დაეხმაროს ნაკრებ გუნდებს, მწვრთნელებს....**

— სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერება და სპორტი წარმატებით ვერ თანამშრომლობენ. სპორტის ყველა სახეობაში არა, მაგრამ ძირითადად მაინც ასეთი მდგომარეობაა: მეცნიერება თავისას ამტკიცებს, მწვრთნელ-პრაქტიკოსები კი თავიანთი „მეთოდებით“ მუშაობენ. ეს ფაქტი, ცხადია, ჩვენი ინსტიტუტის სასარგებლოდ არ მეტყველებს. საქართველოს სპორტკომიტეტმა ამ ბოლო დროს სერიოზული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით: შეიქმნა კომპეტენტური სამეცნიერო საბჭო, რომელიც შეაჯამებს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მიმდინარე კვლევით მუშაობას და ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი გახდება სპორტულ მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის. რაც შეეხება ჩვენს ინსტიტუტის გეგმებს, უწინარეს ყოვლისა, გადაწყვეტილი გვაქვს აღვადგინოთ ინსტიტუტის ასპირანტურა, რომელიც 1982 წლამდე არსებობდა (აქ 25 მეცნიერებათა კანდიდატი მომზადდა, მათგან ორმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა) და უსაფუძვლოდ გაუქმდა. ასპირანტურის აღდგენა უთუოდ აამაღლებს ინსტიტუტის ავტორიტეტს, ხელს შეუწყობს სამეცნიერო მუშაობის გამოცოცხლებას.

უკანასკნელ წლებში მეცნიერული კვლევის სფეროში შეიმჩნევა გამოთვლითი ტექნიკის ინტენსიური გამოყენება. ამასთან დაკავშირებით ჩვენს ინსტიტუტში უკვე ისწავლება ახალი საგანი: „გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“. შევიძინეთ გამომთვლელი მანქანა „ისკრა 226“. შეიქმნა გამოთვლითი ტექნიკის ოთხკაციანი ჯგუფი, რომელიც ამუშავებს სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს, იკვლევს სასწავლო პროცესში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საკითხს. ფიზიკური კულტურისა და სპორტის პრობლემები მოითხოვს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომ გაფართოებას. ჩვენ დავსვით საკითხი ზემოხსენებული ჯგუფის ბაზაზე შეიქმნას სპორტული კიბერნეტიკის დარგობრივი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. ვფიქრობთ, ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება.

გვაქვს დიდი სპორტისთვის პრაქტიკული დახმარების სხვა საშუალებაც. სპეციალურ ავტობუსს ვგულისხმობ, რომელიც ოთხი წელიწადი უმოქმედოდ იდგა. ეს იქნება სტაციონალური მოწყობილობით აღჭურვილი მოძრავი ლაბორატორია ადგილებზე სპორტსმენთა მედიკო-ბიოლოგიური კონტროლისთვის, სამედიცინო დახმარებისათვის. სასურველია დაინერგოს სამეურნეო ხელშეკრულების პრაქტიკა განათლების სისტემასა და პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებთან. ამ წესით სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ატარებს ჩვენი ქვეყნის ბევრი ფიზკულტურული უმაღლესი სასწავლებელი. სამეურნეო ხელშეკრულებათა დადება გაზრდის ინსტიტუტის თანამშრომელთა პასუხისმგებლობას, გააუმჯობესებს მათ მატერიალურ კეთილდღეობას, საბოლოო ჯამში, შექმნის სამეცნიერო მუშაობის გაფართოების შესაძლებლობას.

● **მოახლოვდა მისაღები გამოცდები. მიღების წესებში სიახლე ხომ არ არის?**

—წესები უკვე გამოქვეყნდა პრესაში. მნიშვნელოვანი ცვლილებები არ არის. საშუალო სკოლის რეფორმიდან გამომდინარე დაუსწრებელ განყოფილებაზე საერთო ფიზიკურ მომზადებაში (ცურვასთან ერთად) გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ინსტიტუტში ჩაირიცხებიან ფიზკულტურის მასწავლებლები, რომლებმაც დაამთავრეს პედაგოგიური სასწავლებელი (ფიზაღზრდის განყოფილება) და ფიზკულტურის ტექნიკუმი, ამასთან, აქვთ არანაკლებ ერთი წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი და განათლების ორგანოების მომართვა. კიდევ ერთი: მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და ტურიზმის პედაგოგ-ორგანიზატორის სპეციალობაზე გამოყოფილი ადგილები მთლიანად სოფლის ახალგაზრდებს დაეთმობათ.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ აბიტურიენტებს მისაღებ გამოცდებზე მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ. ისღა დამრჩენია, წარმატება ვუსურვო ყველას, ვისაც განზრახული აქვს სწავლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გააგრძელოს.

საუბარი მიჰყავდა
ელგუჯა ბერიშვილს.

კრივი ზესტაფონსაც ეწვია

ყველამ კარგად იცის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამაგალითოდ ორგანიზებულ ასპარეზობას თვით ამ სახეობის პროპაგანდისათვის. ადრე შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში მეტწილად რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქში ტარდებოდა ხოლმე. ბოლო დროს ეს არც მაინცდამაინც კარგი ტრადიცია დაირღვა, ახლა რესპუბლიკური შეჯიბრებები იმ რაიონებშიც ტარდება, სადაც ადრე ეს შეუძლებლად მიაჩნდათ.

ახლახან ერთი ასეთი ასპარეზობა 15 და 16 წლის ჭაბუკებისთვის ზესტაფონში ჩატარდა. ეს იყო კრივის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის პირადი პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, გორის, ჭიათურის, ცხაკაიას, საჩხერის ნაკრებმა გუნდებმა. თავისი ნორჩი მოკრივეები პირველად გამოიყვანა სარბიელზე თვით ასპარეზობის მასპინძელმა რაიონმა.

— ამ ასპარეზობის მიზანი იყო რესპუბლიკაში კრივის შემდგომი პოპულარიზაცია. ზესტაფონის პარტიის რაიკომმა, კომკავშირულმა ორგანიზაციამ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შეჯიბრება კრივის ნამდვილ ზეიმად ექციათ —გვითხრა ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დავით კვაჭაძემ.

სანაქებო მასპინძლობამ, შესანიშნავმა პირობებმა, ნორჩ მოკრივეებს რომ შეუქმნეს, გაზარდა ასპარეზობისადმი ინტერესი. სპორტსმენებმა მაქსიმალურად გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები და მაყურებელმაც არაერთი საინტერესო ორთაბრძოლა იხილა. ყველაზე ტექნიკური მოკრივისათვის დაწესებული სპეციალური პრიზები გადაეცათ გორელ გ. დემურიშვილს (38-40 კგ), ქუთაისელ გ. გლენის (46-48), ცხაკაიელ გ. გოროზიას (48-50), თბილისელ გ. კოსტანოვს (52-54). ამ ბიჭებმა ჩემპიონის წოდებაც მოიპოვეს. სხვა წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ზ. კაპანაძემ, ე. ღვალაძემ (ორივე—ჭიათურა), ქ. კოროზაშვილმა, დ. კაზიშვილმა, ნ. კირიაკოვმა, გ. აკოპიანმა, ზ. გათენაშვილმა, ი. მაკაროვმა, რ. მუსხელიშვილმა, ზ. ზუმბიაშვილმა, ა. მხითარიანმა (ყველა—თბილისი), ვ. ჯანიემ, გ. სულაქველიძემ (ორივე—ზესტაფონი), ი. ვაშაყმაძემ, დ. კუპარაძემ, მ. ხურციძემ (სამივე—ქუთაისი), ზ. ქარდიყოშვილმა (გორი).

მეგობრობენ...

კარგი ურთიერთობა აქვთ ზესტაფონისა და ცხინვალის ნორჩ ფეხბურთელებს. წლეულს გაზაფხულზე ცხინვალელი ჭაბუკები სტუმრად იმყოფებოდნენ ზესტაფონში, განთიადელ თანაკლუბელთა საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ზესტაფონელთა გამარჯვებით—6:2.

ამის შემდეგ ცხინვალელებმა შინ მიიწვიეს ზესტაფონელები, წარმატება აქაც ზესტაფონის გუნდს ხვდა წილად 3:1.

ომარ კარანაძე,
ზესტაფონის „განთიადის“ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

მატჩი ალმა-ათაში

ალმა-ათა. „ქაირათის" სტადიონი. 1 ივლისი.

„ქაირათი" (ალმა-ათა) — „დინამო" (თბილისი) 4:0 (2:0).

„ქაირათი": უბიკინი, კუკლევი (ნიკიტენკო), ჯუმანოვი, იაროვენკო, შადიევი, ვოლგინი (ზაიცევი), სალიმოვი, ბერდიევი, მასუდოვი, სტუკაშოვი, ფეხლევანიდი.

„დინამო": ბალაძე, მიქაბერიძე (ქორქიანი), ჩაიკიძე, სულაქველიძე, არზიანი, კაკილაშვილი, ხვანაძე, თევზაძე (შენგელია), გუცაევი, გურული, ჰედია.

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს იაროვენკო.

დუბლიორები — 0:1. ბურთი გაიტანა ჰილაიამ.

ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩის მსვლელობაზე დიდი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ მასპინძლებმა წარმატებას ჯერ კიდევ დასაწყისშივე მიაღწიეს: მე-3 წუთი მიმდინარეობდა, როცა ვოლგინი დაახლოებით 23-24 მეტრზე მიუახლოვდა დინამოელთა კარს და მოულოდნელად, მაგრამ ძლიერად და ზუსტად დაარტყა. ბალაძე კარიდან წინ იყო გამოსული, მან რეაგირებაც ვერ მოასწრო და გაუშვა ბურთი — 1:0.

ათიოდე წუთის შემდეგ, მასპინძელთა მორიგი იერიშის დროს, „დინამოს" მხარეს დაინიშნა ჯარიმა. კარის წინ ჩაწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო სალიმოვმა — 2:0.

„ქაირათს" შესვენებამდეც შეეძლო კიდევ უფრო დაწინაურებულიყო, ვინაიდან დინამოელთა მცველები სისტემატურად აგვიანებდნენ, ცდებოდნენ, უყურადღებოდ ტოვებდნენ მეტოქე ფორვარდებს. გარდა ამისა, ნახევარმცველებმა ვერ შეძლეს ინიციატივის მოპოვება შუა მინდორში, ხოლო თავდამსხმელები იშვიათად თუ აწუხებდნენ მეკარე უბიკინს.

მინდორზე ბევრი არაფერი შეცვლილა მეორე ტაიმშიც. მასპინძლებმა, ანგარიშის შენარჩუნების მიზნით, ერთხანს სცადეს შეენელებინათ ტემპი, მაგრამ როცა იგრძნეს სტუმართა პასიურობა, ის, რომ მათი მხრივ დიდი საფრთხე არ მოელოდათ, კვლავ შეუტიეს და კიდევ ორი გოლი გაიტანეს. მეტოქის კარი 62-ე წუთზე აიღო მასუდოვმა, ხოლო შემდეგ, უკვე მატჩის ბოლო წუთზე, ფეხლევანიდიმ.

თბილისის დინამოელებმა მეტოქის მინდორზე კვლავ სუსტად ითამაშეს და ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ.

სხვა მატჩები

1 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრის ბოლო ტურის შეხვედრები. ახლა ჩასატარებელი დარჩა მხოლოდ XIII ტურიდან გამოტოვებული 2 მატჩი: „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი), ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო" (მოსკოვი). ეს მატჩები გაიმართება შესაბამისად 5 და 6 ივლისს.

ცსკა — „ნეფთჩი" 0:2

„ტორპედო" — „არარატი" 1:1

„ზენიტი" — „ფახთაქორი" 3:0

„ჟალგირისი" — „სპარტაკი" 2:1

„დინამო" მნ. — „დინამო" მ. 0:0

ასკ რ. — „შახტიორი" 3:2

„დინამო" კ. — „დნეპრი" 0:0

„ჩერნომორეცი" — „მეტალისტი" 2:1

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 2 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	17	9	5	3	25-15	23
„დნეპრი"	17	9	5	3	25-16	23
„ტორპედო"	17	7	6	4	14-12	20
„დინამო" კ.	17	6	8	3	22-13	20
„ზენიტი"	16	7	5	4	25-14	19
ასკ რ.	16	7	5	4	25-16	19
„ჩერნომორ."	17	6	6	5	19-19	18
„დინამო" მნ.	17	5	8	4	20-19	18
„შახტიორი"	17	6	5	6	29-25	17
„ქაირათი"	17	6	5	6	24-24	17
„მეტალისტი"	17	6	4	7	19-22	16
„დინამო" თბ.	16	6	4	6	14-17	16
„ჟალგირისი"	17	4	8	5	12-22	16
„არარატი"	17	5	4	8	20-20	14
ცსკა	17	4	6	7	13-20	14
„ფახთაქორი"	17	4	3	10	15-23	11
„ნეფთჩი"	17	4	3	10	13-29	11
„დინამო" მ.	16	2	6	8	12-20	10

საბჭოთა კავშირის პირველობა

I ლიგა

გუშინ შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XX ტურის კალენდარული მატჩები:

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს კემეროვოს „კუზბასი". თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:1.

ლანჩხუთის „გურია" შინ შეხვდა მოსკოვის „ლოკომოტივს" — 0:0

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ომსკის „ირტიში". აქაც ფრე — 0:0.

ჩვენი გუნდები შემდგომი ტურის შეხვედრებს 7 ივლისს გამართავენ სტუმრად. ქუთაისელები ნიკოპოლში შეხვდებიან „კოლოსს", ლანჩხუთელები — ომსკში „ირტიშს", ხოლო ბათუმის „დინამო" ზაპოროჟიეში ეთამაშება „მეტალურგს".

ფიქრები ხმამაღლა

შუალედური ფინიშის სიავკარგენი

პირველი წრის კომენტარი

თითქოს პირი შეკრეს ფეხბურთის კომენტატორებმა — ყველა, ვისაც კი მოუხდა თბილისის „დინამოზე" რაიმეს თქმა, გვარწმუნებს, რომ ეს ტექნიკური, დიდი ტრადიციების გუნდი აუცილებლად შეძლებს ისეთი ფეხბურთი ითამაშოს, როგორიც მას ეკადრება. საინტერესო ის არის, რომ ეს რწმუნებანი და დროდადრო ქებაც კი წაგებული და მერე როგორ წაგებული მატჩების ტრანსლაციის დროს გაისმის.

გუნდის გარშემო შექმნილი აი, ეს სიტუაცია როგორღაც 50-იანი წლების შუა პერიოდს მახსენებს, პერიოდს, როცა არც ისე იშვიათი იყო 0:6 წაგებული თამაშები და ამავე დროს მოსკოველი, ლენინგრადელი თუ კიეველი კომენტატორების, არ ვიცი, რის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები —თბილისელები ლამაზად, ტექნიკურად თამაშობენო! ახლაც ზუსტად ისე გვისვამენ თავზე ხელს: მართალია, აგებს, მაგრამ ძალზე ტექნიკური გუნდია და მალე ყველაფერი კარგად იქნებაო. რა თქმა უნდა, კეთილ სურვილებს ვერაფერი დაუდგება წინ, მაგრამ ერთი ცხადია: საქმე თავისთავად და მხოლოდ სურვილებით ვერ მოგვარდება. ამიტომ ამ წერილში, იმ „გულკეთილი" კომენტატორებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ცუდის თქმას ვაპირებ. მიზეზი ალბათ ერთია: რაც უნდა მოხდეს და როგორც უნდა მოხდეს, ჩვენი გუნდისა ყველაზე მეტად ისევ ჩვენ გვეტკინება. ესეც არ იყოს, სპორტის სტრუქტურა ისეთია, რომ დღევანდელი წარუმატებლობის ფესვები, თუ ჭეშმარიტების დადგენა გვსურს, 8-10 წლის იქით უნდა ვეძიოთ. თუ დღეს ფეხბურთელის ტექნიკა გვაკმაყოფილებს, ათლეტიზმი კი —არა, ფაქტიურად სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა მწვრთნელთა ათწლიანი მუშაობით ვართ უკმაყოფილონი. ამასთან, ბუნებრივია, პასუხისმგებლობას ვერც დღევანდელები მოვიხსნით.

ახლა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შევაფასოთ თბილისის „დინამოს" ნახევარი საფეხბურთო სეზონის მონაგარი.

გუნდი ადრეულ ეტაპზე გამოეთიშა სათასო ბრძოლებს და არც ევროპის რომელიმე საკლუბო ტურნირში მოსამზადებლად დაუხარჯია დრო და ენერგია. დარჩა ერთადერთი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, სადაც ნათამაშევია 16 მატჩი, ათი — შინ, ექვსი — სტუმრად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შინ „გეგმაზე" მეტი გვაქვს ნათამაშევი და იმასაც, რომ სტუმრად გაცილებით უარესად ვთამაშობთ, უნდა ითქვას: პერსპექტივა ერთობ არასახარბიელოა. თუ ასე გაგრძელდა, თბილისის „დინამო" კვლავ პირველი ათეულის მიღმა აღმოჩნდება.

ეს, რაც შეეხება არითმეტიკას.

ახლა იმაზე, თუ რა შთაბეჭდილებას ტოვებს გუნდი ვიზუალურად. აქვე ვთქვათ, რომ ამგვარი შეფასება, მართალია, მეტწილად სუბიექტურია, მაგრამ საიმედო ორიენტირის არსებობის შემთხვევაში ასე თუ ისე ლოგიკურ დასკვნებს მაინც გამოგვატანინებს.

ერთი ჩემი ნაცნობი მწვრთნელი მძლეოსნობაში ხშირად იტყვის ხოლმე: „საქართველოს ჩემპიონი? ასეთი მიზნის მქონე საერთოდ უნდა შეეშვას მწვრთნელობას. თუ გაზრდი, ოლიმპიური ჩემპიონი უნდა გაზარდო!" ვერ ვიტყვი, რამდენად რეალურია მისი ეს განცხადება, მაგრამ სწორი კია. თუ ჰბაძავ, ღირსეულს უნდა მიჰბაძო, თუ ადარებ, ღირსეულს უნდა შეადარო. ახლახან დამთავრებული ევროპის ჩემპიონატი, ვფიქრობ, საიმედო ორიენტირია და თბილისის „დინამოს" თამაშსაც ამ კრიტერიუმით მინდა შევხედო.

ევროპის ჩემპიონატის მონაწილე თითქმის ყველა გუნდს საკუთარი სტილი და მანერა, საკუთარი სახე ჰქონდა. ჩვენს დღევანდელ გუნდს ასეთი რამ არ გააჩნია.

ჩემპიონატის ყველა მონაწილე გუნდი ფიზიკურად ბრწყინვალედ იყო მომზადებული. სხვათა შორის ისე, ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ნებისმიერი გუნდის ნებისმიერი ფეხბურთელი პირველ ყოვლისა ათლეტი იყო (აღარას ვამბობ წმინდა საფეხბურთო ღირსებებზე). ჩვენი გუნდის დიდი ნაწილი ამ მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ნებისმიერ კოლექტივში იყო ფეხბურთელი, რომელიც ხელმძღვანელობდა თავისი გუნდის იერიშებს, იყო ისეთიც, გაჭირვების დროს მისი იმედი მაინც რომ ექნებოდათ მწვრთნელებს. თბილისის „დინამოს" არც შეტევების ლიდერი ჰყავს და არც ისეთი თავდამსხმელი ან ნახევარმცველი, არაფრისაგან რომ გამოჩხრეკენ ხოლმე გოლს.

რაც შეეხება თამაშის ორგანიზაციას, სხვაგვარად ტაქტიკას, აქ სასაყვედურო კი არის, მაგრამ ამ კომპონენტში ისე ჩამორჩა მთლიანად საბჭოთა ფეხბურთი, რომ მარტო თბილისის „დინამოს" დადანაშაულება მართებული არ იქნებოდა. ისე კი, იმავე ევროპის ჩემპიონატზე მართლაც რომ სანიმუშო გაკვეთილად გამოდგებოდა დანიის ნაკრების, თუ გნებავთ, საფეხბურთო აზროვნება. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს დანიელებს წინასწარ ჰქონდათ გაანგარიშებული შეტევის ყველა სტადია და მინდვრის ყოველი სანტიმეტრი. იერიში წამითაც არ ფერხდებოდა, არ მახსენდება შემთხვევა, მინდვრის ცენტრში ან საჯარიმოსთან უშუალო სიახლოვეს რომელიმე ფეხბურთელი იმის ფიქრს რომ შეეყოყმანებინოს, საით და ვის მივცე ბურთიო. სად, ვისთან და როდის სწავლობენ ამას ევროპელი ფეხბურთელები?

ამ, ჩვენი გუნდისათვის ერთობ უსიამო შედარებებს რომ თავი დავანებოთ, დინამოელთა თამაშს ჩემპიონატში სხვაც ბევრი უარყოფითი სდევს. მათგან განსაკუთრებით თვალში საცემია ის, რომ ვერა და ვერ ამოქმედდა სრული დატვირთვით გუნდის ვერც ერთი რგოლი. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ასეთი რამის თქმა გვიხდება დაცვის მისამართითაც, იმ რგოლის მისამართით, სადაც ოთხი ფეხბურთელიდან ორი საბჭოთა კავშირის საუკეთესო მცველია.

აქ შეიძლება ვინმე ადგეს და თქვას: კი მაგრამ, რა საბუთებით, რის საფუძველზე სთხოვთ გუნდს კარგ თამაშს, როცა იქ კარგი ფეხბურთელები აღარ არიანო? კაცმა რომ თქვას, მართლაც ძნელია იმის გაზომვა, თბილისის „დინამოს" უფრო კარგი ფეხბურთელები ჰყავს თუ „ჟალგირისს" ან „დნეპრს". მაგრამ უფრო დაბალ დონეზე, თუნდაც დუბლიორთა გუნდებზე დაკვირვებით, კარგ ფეხბურთელთა სიმრავლე თუ უყოლობა მშვენივრად ჩანს. მაგალითად, ვილნიუსის „ჟალგირისის" სათადარიგოთა მნახველი უცბად და დაუეჭვებლად გეტყვით, რომ საქართველოში გაცილებით უკეთ თამაშობენ ფეხბურთს, ვიდრე ლიტვაშიო. მე მეტსაც ვიტყოდი: „ჟალგირისს" დუბლიორებში ისეთი ფეხბურთელები ჰყავს, საქართველოს მეორე ლიგის გუნდები რომ არ მიიღებდნენ თავიანთ შემადგენლობაში. ასეა თუ ისე, არა გვყავს კარგი ფეხბურთელები თუ გვყავს და ვერ ვუვლით, სულ ერთია, ყველაფერი ჩვენი მოსავლელია და რადგან საფეხბურთო პრეტენზიები საკმაოდ გვაქვს, კარგა გვარიანადაც უნდა გავისარჯოთ საფეხბურთო ცხოვრების ყველა სფეროში და ყველა დონეზე. საქმეში, სადაც სულით გწადია პირველი იყო, წვრილმანები და მეორეხარისხოვანი პრობლემები არ არსებობს.

და ბოლოს. მკითხველს, უთუოდ ახსოვს, რომ იტალიელთა გუნდის მწვრთნელის ენცო ბეარზოტის კრიტიკა არც მას შემდეგ შეწყვეტილა, რაც ამ გუნდმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. „ნაპოლის" თბილისში სტუმრობისას მე თვითონ ვნახე და ვესაუბრე ორ ამგვარ „ცოცხალ" კრიტიკოსს. არ ვიცი, რამდენად სწორია მათი პოზიცია, მაგრამ ჭეშმარიტების რაღაც მარცვალი იტალიელ ჟურნალისტთა მოქმედებაში უთუოდ არის. ყოველ შემთხვევაში, ასეთი პოზიცია საქმეს არ ვნებს. ალბათ მაინც ჯობს და, როგორც ჩანს, იქამდე მაინც უნდა იყო უკმაყოფილო გუნდის თამაშით, სანამ გამარჯვებისკენ მიმავალი კიბის უკანასკნელი საფეხურიც უკან არ დარჩება.

ირაკლი ბერიაშვილი.

სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშები

ირინე გაბაშვილი კვლავ სარბიელზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში სამ დღეს გაგრძელდა შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში სტუდენტთა რესპუბლიკური თამაშების პროგრამით. სარბიელზე გამოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების 11 ტანმოვარჯიშე. სამწუხაროდ, შეჯიბრებაზე თავიანთი წარმომადგენლები არ გამოგზავნეს უცხო ენებისა და თეატრალური ინსტიტუტების, აგრეთვე სხვა უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბებმა.

ცხადია, რაიმე კონკურენციაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მით უმეტეს, გუნდურ ჩათვლაში, რადგან თბილისის უნივერსიტეტმა და საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა არასრული გუნდები გამოიყვანეს. უნივერსიტეტელებმა I ქვეჯგუფში მოასპარეზე სამ გუნდს შორის 113 ქულით მეორე ადგილი დაიკავეს და ჩემპიონს, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებს, 50 ქულით ჩამორჩნენ.

ირინე გაბაშვილმა საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII საზაფხულო სპარტაკიადის შემდეგ მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, მერე გათხოვდა და დიდი სპორტიდან წავიდა. მაგრამ დარბაზი მაინც არ მიუტოვებია — თავის მწვრთნელს ნელი სალაძეს ამოუდგა მხარში, ნორჩებს გადასცემს მდიდარ ცოდნასა და გამოცდილებას. ახლა, როცა გუნდს დასჭირდა, იგი კვლავ გამოვიდა სარბიელზე და მხურვალე ოვაციებიც დაიმსახურა. ირინე ისევ ირინედ დარჩა — მომხიბლავი, ნატიფი, მოქნილი, ჩინებული შემსრულებელი. იგი შეუდარებელი იყო განსაკუთრებით შეჯიბრების ბოლო ორ დღეს იმდენად, რომ მსაჯებმაც კი ვერ დაფარეს აღფრთოვანება. ჯერ ბურთითა და ლენტით, დასკვნით დღეს კი რგოლით, გურზებითა და ბურთით ვარჯიშში ირინემ უმაღლესი შეფასება — 10 ქულა დაიმსახურა. ყველაზე დიდი შეფასება მაინც მაყურებლის აღტაცება იყო. შეჯიბრების პირველი დღიდანვე ცხადი გახდა, რომ ირინე გაბაშვილს კონკურენციას ვერავინ გაუწევდა. მართლაც, მან ჯერ მრავალჭიდში იმარჯვა, შემდეგ კი პირველი ადგილები დაიკავა ექვსივე სახეობაში — რგოლით, გურზებით, სახტუნაოთი, ლენტით, ბურთითა და უსაგნოდ ვარჯიშში.

მრავალჭიდში მეორე იყო ირინეს თანაგუნდელი ინგა საკაშვილი. ინგამ უკვე ორი წელია დაანება თავი აქტიურ სპორტს. ახლა ახალგაზრდა დედისთვის პატარა ნინო და ოჯახია მთავარი საზრუნავი, მაგრამ გუნდის ინტერესებმა ისიც გამოიყვანა სარბიელზე. ინგამ ცალკეული საგნებით ვარჯიშშიც გამოიჩინა თავი — ოთხი მეორე და ერთი მესამე ადგილი დაიკავა. დანარჩენი საპრიზო ადგილები გაინაწილეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრებმა — ირინე წიკლაურმა (მან მრავალჭიდში მესამე ადგილი დაიკავა) და ელენე ცერცვაძემ.

რაც შეეხება მეორე ქვეჯგუფს, აქ მხოლოდ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები ასპარეზობდნენ. მათ 146,8 ქულა დააგროვეს და, რადგანაც სხვა კონკურენტი არ ჰყავდათ, პირველობაც დაისაკუთრეს.

ეს რომ უბრალო შეჯიბრება ყოფილიყო, შეიძლება საყვედური არ გვეთქვა, მაგრამ საქმე ეხება სტუდენტურ სპორტს, მის აწმყოსა და მომავალს. ვფიქრობთ, სტუდენტთა საკავშირო თამაშებში, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში გაიმართება, წარმატების მოპოვება ძალიან გაგვიჭირდება.

ვაჟა დანელია.

ჯანმრთელობა უწინარეს ყოვლისა

ჰაერი, ნოხი, სარკე, აკუსტიკა

როგორც „ლელოს" ერთ-ერთ წინა ნომერში გაცნობეთ, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების მუშაკთა მოწვევით თბილისში გამოცდილების გაზიარების მიზნით სტუმრად იმყოფებოდა რიტმული ტანვარჯიშის მოსკოველ სპეციალისტთა ჯგუფი. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ჯგუფის წარმომადგენელს, პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტის პედაგოგს პოლინა ისაკოვას.

● როდის დაინტერესდით რიტმული ტანვარჯიშით?

— ყველაფერი დაიწყო უცხოეთში ამტყდარი ბუმით, რომლის ექო ჩვენამდეც აღწევდა. იქაურ პრესაში ამ თემაზე გამოქვეყნებული რამდენიმე ინფორმაციის ზერელე გაცნობამაც კი დაგვარწმუნა, რომ ეს აჟიოტაჟი არც მოდის ჭირვეულობით და არც მარჯვე რეკლამით არ იყო გამოწვეული. ჩანდა რაღაც საინტერესო სიახლე იქმნებოდა. მერე გაგვახსენდა, რომ ტანვარჯიშის ამგვარი სკოლა არც ისე შორს, ტარტუს უნივერსიტეტშიც არსებობდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გარკვეული ცოდნის შეძენა მოსკოვშიც შეიძლებოდა. ბევრი აღარ გვიფიქრია და მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების ხუთი პედაგოგი ესტონეთში გავემგზავრეთ, ეს ხუთი წლის წინათ მოხდა. გავემგზავრეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, თუმცა უფრო რიტმული ტანვარჯიშის გაცნობა გვეწადა. ის ორთვიანი კურსები ჩვენთვის ნამდვილი აკადემია გამოდგა. საქმე ის არის, რომ ტარტუს უნივერსიტეტში ტანვარჯიშის დანერგვა თითქმის 30 წლის წინ დაიწყეს. ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტის მწვრთნელ-პედაგოგებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ იანსენმა 1976-77 წლებში ორი წიგნიც კი გამოსცა რიტმული ტანვარჯიშით დაინტერესებულთათვის.

● თქვენც პრაქტიკული საქმიანობა ესტონური მეთოდით დაიწყეთ?

— მთლად ასეც არ იყო საქმე... არა, მეთოდი კი არ დაგვიწუნებია, უბრალოდ, ტარტუს უნივერსიტეტში შემუშავებულ ვარჯიშთა კომპლექსები მხოლოდ ქალებისათვის იყო გათვალისწინებული და სახელადაც ქალთა ტანვარჯიში ერქვა. ასე რომ, საბჭოთა კავშირში რიტმული ტანვარჯიშის პიონერად შეგვიძლია მოსკოვის ნავთობ-ქიმიური და გაზის მრეწველობის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი კრამინა დავასახელოთ. მან ჩვენი ხუთეულის ესტონეთში ვიზიტამდე ორი წლით ადრე შეიმუშავა საკუთარი მეთოდიკა, რომელიც მაშინ, სამწუხაროდ, ჯეროვნად ვერ შეაფასეს... ჩვენ აი, ამ ორი სკოლის გამოცდილება გამოვიყენეთ, საკუთარიც დავუმატეთ, შესაბამისი უცხოური ლიტერატურაც მოვიხმარეთ და (სიცილით დაუმატა), ხომ ხედავთ, ახლა სხვებს ვუზიარებთ გამოცდილებას. ვარჯიშის ჩვენი კომპლექსი ძირითადად მხატვრული ტანვარჯიშის ელემენტებზეა აგებული, უსაგნოდ ვარჯიშს ვგულისხმობ. კლასიკური და თანამედროვე ცეკვის გავლენასაც შენიშნავთ.

● უცხოეთში „აერობიკის" რამდენი სახეობა არსებობს?

— „აერობიკა" ტერმინია. საქმის არსს რიტმული ტანვარჯიში უკეთ გამოხატავს და უმჯობესია ასეც ვუწოდოთ. მას ერთი მიმართულება აქვს და მისი ვარჯიშები, ვისი შემუშავებულიც უნდა იყოს, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. თუმცა საზღვარგარეთ ვარჯიშთა ისეთი კომპლექსებიც არსებობს, ადამიანს რომ აჯანსაღებს, მაგრამ რიტმულს ვერ უწოდებ. მაგალითისათვის ცნობილი ამერიკელი კინომსახიობის ჯეინ ფონდას წიგნი ავიღოთ, რომელშიც ავტორი ვარჯიშის საკუთარ სისტემას გვთავაზობს. ფონდას პირველ რიგში სხეულის სილამაზის და მოქნილობის შენარჩუნება აინტერესებს და ამიტომ მისი ვარჯიშები ძირითადად სახსრების „გაჭიმვაზეა" აგებული.

● მოუხდათ თქვენს სტუდენტებს რიტმულ ტანვარჯიშში მეცადინეობა?

— იმ დაკვირვების შედეგებზე მოგახსენებთ, რომელსაც ორი წლის მანძილზე ვეწეოდი. ამ პერიოდში სტუდენტთა შრომისუნარიანობა 40%-ით გაიზარდა. ვარჯიში მათ განსაკუთრებით გამძლეობის, ძალისა და მოქნილობის გამომუშავებაში დაეხმარათ. ჩემს ჯგუფებში გამხდრებიც იყვნენ და ისეთებიც, ტანკენარობით რომ არ გამოირჩევიან. ამ ხნის მანძილზე მათ გარეგნობაში განსხვავება თანდათან შემცირდა — ყველამ ერთნაირი სპორტული ლაზათი შეიძინა.

● ამბობენ, რიტმული ტანვარჯიში ადამიანის ფსიქიკაზეც კარგად მოქმედებსო?

— რა თქმა უნდა! ახლა ისინი ნაკლებ ღიზიანდებიან, საკუთარი ძალების რწმენაც მოემატათ იმ ადამიანის მსგავსად, ვინც საკუთარ სხეულს სრულყოფილად ფლობს.

● რიტმული ტანვარჯიში ყველასთვის ხელმისაწვდომია?

— თითქმის ყველასთვის. თუმცა ახალბედებთან მაინც სიფრთხილე გვმართებს. მათი უმრავლესობა ხომ 10-15 წლის განმავლობაში „უმოძრაო ცხოვრებას" ეწევა. ჩვენ მათთვის შევიმუშავეთ, საგანგებო ვარჯიშები, რომელთა ხანგრძლივობა მხოლოდ 20 წუთია. ისე, სჯობს წინასწარ ექიმს გაესინჯოს კაცი... გამოგიტყდებით, ყველაზე მეტად იმ ადამიანებთან გვიჭირს მუშაობა, რომელთაც რიტმის გრძნობა არა აქვთ.

● საუკეთესო სავარჯიშო პირობები როგორია?

— ჰაერი, ნოხი, სარკე, აკუსტიკა. საჭიროა ჰიგიენის დაცვაც.

● მასპინძლებზე რას იტყვით?

— ბუნებრივია, გამოცდილება აკლიათ, მაგრამ სწორ გზაზე დგანან. ისეთი ენთუზიაზმით მუშაობენ, რომ მალე ალბათ რიტმული ტანვარჯიშის ჯგუფები თქვენში სოკოსავით მომრავლდებიან.

● როგორ ფიქრობთ, ნაყოფიერი გამოდგა თქვენი ხუთდღიანი ვიზიტი თბილისში?

—მათ ჰკითხეთ (აქ მან მოვარჯიშე ჯგუფისაკენ ისე დაჯერებულად მიმითითა, რომ იქ მისვლა ზედმეტად ჩავთვალე).

საუბარი ჩაიწერა
გიორგი ჩოჩიშვილმა.

ნახევარფინალის საგზურისთვის

გუშინ თბილისში, „დინამოს" სტადიონზე დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება მძლეოსნობაში, რომელსაც სხვაგვარად საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ზონალურ შეჯიბრებასაც უწოდებენ. სახელწოდება მიგვითითებს ასპარეზობის ეტაპობრივ ხასიათზე: ჯერ ტარდება საქალაქო შეჯიბრება, შემდეგ რესპუბლიკური, ნახევარფინალური და ბოლოს ფინალური. საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალში, რომელიც ივლისის ბოლოს დნეპროპეტროვსკში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს იმ ქალაქის ნაკრები, რომლის წევრებიც „დინამოს" სტადიონზე გამართულ ორდღიან შეჯიბრებაში ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებენ. გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი, რა თქმა უნდა, თბილისელ მძლეოსნებს აქვთ. დასანანია, რომ თბილისში ვერ ასპარეზობენ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური ნაკრების წევრები. სტუდენტი მძლეოსნები ამჟამად კიევში, სტუდენტური სპორტკლუბების საკავშირო თამაშებში მონაწილეობენ.

გუშინ ვაჟთა შორის 1500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა თბილისელმა იური ციგულიოვმა — 3.58,4; ამავე გარბენში მონაწილეობდა და საკმაოდ კარგი შედეგი (4.19,8) აჩვენა ქუთაისელმა ლეონიდა შაპოვალოვამ. 400 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა თბილისელმა ალექსანდრე ხრომოვმა (48,5).

* * *

სურათზე: 1500 მ. რბენის დისტანციაზე ლიდერობს ი. ციგულიოვი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინფორმაცია

წყალსათხილამურო სპორტი

მსოფლიო ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ფიგურულ სრიალში, საბჭოთა სპორტსმენმა ნატალია პონომარიოვამ (დუბნა) დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ არხზე, სადაც ჩატარდა საერთაშორისო ასპარეზობა წყალსათხილამურო მრავალჭიდში. მან ყველას აჯობა თავის მთავარ სახეობაში, პირველი იყო სლალომშიც და საერთო ჯამში 2424 ქულა დააგროვა. მეორე იყო მინსკელი ინესა პოტესი (2119), მესამე — მოსკოველი ოლგა გუბარენკო (2048).

ვაჟებს შორის მრავალჭიდში ყველა ჩამოიტოვა იგორ ლიხაჩოვმა (დუბნა) — 1849. შვედმა სტუმრებმა მაგნუს იონსონმა და ოკე ონეშემ შესაბამისად 1798 და 1782 ქულა დააგროვეს. მათ II და III ადგილები ხვდათ.

ჭადრაკი

პლოვდივში (ბულგარეთი) დამთავრდა XII ტრადიციული, საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრების 15 მონაწილეს შორის იყვნენ დიდოსტატი მ. ტაიმანოვი და საერთაშორისო ოსტატი ა. ლუკინი (ორივე — ლენინგრადი). 9 ქულით I ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა პლასკეტმა (ინგლისი). ტაიმანოვმა 6,5 ქულა მოაგროვა, ლუკინმა — 6.

კალათბურთი

რიგის ვეფ-მა სენეგალის დედაქალაქ დაკარში ანგარიშით 80:54 გაიმარჯვა მასპინძელი ქვეყნის კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებთან. საბჭოთა გუნდის წევრებიდან გამოირჩეოდა ანდრის ეკაბსონსი.

ბუდაპეშტში საბჭოთა ნაკრებმა საერთაშორისო ტურნირის მატჩი მოუგო იტალიის გუნდს — 112:86 (62:40). ჩვენი სპორტსმენებიდან საუკეთესო იყო ბელოსტენი, რომელიც ტურნირის ყველაზე შედეგიან მოთამაშედ აღიარეს. სსრ კავშირის ნაკრებს, ისევე როგორც იუგოსლავიის გუნდს, ოთხი ქულა აქვს, მაგრამ პირველი ადგილი მიეკუთვნათ იუგოსლავიელებს, რადგან საბჭოთა კალათბურთელებთან შეხვედრაში გამარჯვება მათ დარჩათ.

„სპორტლოტო"

მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, 26-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 23 (თხილამურებით ხტომა და ორჭიდი), 29 (სასტენდო სროლა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 36 (საავიაციო სპორტი), 45 (მაგიდის ჩოგბურთი), 49 (შაში).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 16 (ცხენოსნობა), 17 (ციგურაობა), 29 (სასტენდო სროლა).

წიგნის თარო

„ჩვენი გვარდიელები"

საქართველოს საჭადრაკო სკოლის წარმომადგენელთა თვალსაჩინო მიღწევები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ჩვენი დიდოსტატი ქალები თითქმის მეოთხედი საუკუნეა არ თმობენ ჭადრაკის დედოფლის ტახტს, ბოლო ათი წელი პრეტენდენტებიც ისინი არიან. ბოლო ხანს წარმატებებს აღწევენ მოჭადრაკე ვაჟებიც. მათ განსაკუთრებით ისახელეს თავი საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე, სადაც ვერცხლის მედლები მოიპოვეს. საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე თვალსაჩინო მიღწევები აქვთ მოპოვებული ჩვენს საჭადრაკო კომპოზიტორებსაც, მაგრამ ფართო საზოგადოებრიობა ნაკლებად იცნობს ამ მოჭადრაკეებს, მათ კრედოსა და შემოქმედებას.

ამ ნაკლოვანების გამოსასწორებლად კარგი თაოსნობა გამოიჩინა ჟურნალმა „დროშამ". ჟურნალმა თავისი ბიბლიოთეკის სერიით გამოსცა დიდოსტატ ედუარდ გუფელდისა და ჟურნალისტ არსენ ერემიანის წიგნი „საქართველოს საჭადრაკო გვარდია" (რუსულ ენაზე, 96 გვ., 10 ფოტო; რედაქტორი გიორგი ბედინეიშვილი. ტირაჟი — 50 ათასი).

ავტორები მკითხველს აცნობენ საქართველოს ჭადრაკის გვარდიელებს, ამჯერად მხოლოდ საერთაშორისო დიდოსტატებს — მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძეს, მსოფლიოს ექსჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს, ნანა ალექსანდრიას, ნანა იოსელიანს, ნინო გურიელს, ელენა ახმილოვსკაიას, ბუხუტი გურგენიძეს, თამაზ გიორგაძეს, ედუარდ გუფელდსა და გია ნადარეიშვილს. ყველა ნარკვევში საინტერესო ცხოვრებისეული ამბების გვერდით საუბარია დიდოსტატის თამაშის თავისებურებებზე, ბრძოლისადმი მისი მიდგომის პრინციპებზე, შთაბეჭდილებას აძლიერებს ყველა დიდოსტატის თითო პარტია კომენტარითურთ.

აქვე გვინდა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ეს წიგნი ჩვენს გვარდიელებზე ალბათ „პირველი „მერცხალია". საქართველოს სახელოვან მოჭადრაკეებზე სათქმელი ბევრია. შეიძლება უკეთესი პარტიებიც მოიძებნოს გამოსაქვეყნებლად. მომავალში საჭიროა გამოიცეს ფუნდამენტალური ნაშრომი.

№ 12–13
БИБЛИОТЕКА „ДРОША"
ЭДУАРД ГУФЕЛЬД
АРСЕН ЕРЕМЯН
Шахматная гвардия Грузии

შეიძლება ცალკე წიგნიც დაიწეროს ყველა დიდოსტატზე, ისინი ამას იმსახურებენ.

თენგიზ გიორგაძე.

რედაქტორი ა. გოგელია.

1984 წლის 4-8 ივლისს ჩოხატაურში ტარდება „კოლმეურნეს" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში (ცხენბურთი, ისინდი, მარულა 6000 მეტრზე, დოღები 2000 და 4000 მეტრზე).

მონაწილეობენ: ოჩამჩირის, გალის, გუდაუთის, ზუგდიდის, გაგრის, სამტრედიის, ცხაკაიას, მახარაძის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების ნაკრები გუნდები.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო"
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-28; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-40; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის. 2ხ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 09848